საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს

2015 წლის 18 სექტემბრის

დადგენილება №1699

„საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური წოდების - ემერიტუსის მინიჭების
წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი
საბჭოს (სენატის) 2014 წლის 15 ოქტომბრის
ერთობლივი სხდომის №19 დადგენილებაში
(ცვლილება შეტანილია 29.10.2014 წ. დადგენილება №1329,
25.07.2015 წ. დადგენილება №1629) ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 39-ე მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2014 წლის 15 ოქტომბრის ერთობლივი სხდომის №19 დადგენილებით (ცვლილება შეტანილია 29.10.2014 წ. დადგენილება №1329, 25.07.2015 წ. დადგენილება №1629)
დამტკიცებულ ემერიტუსის მინიჭების წესში შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილება:

მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ემერიტუსის წოდების მქონე პირისათვის ანაზღაურების მიცემის საკითხს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში წყვეტს აკადემიური საბჭო შემდეგი წესით: უნივერსიტეტის პერსონალისათვის - ემერიტუსის წოდების მინიჭების მომენტისათვის დაკავებული თანამდებობის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, მოწვეული პროფესორი) შესაბამისი სარგოს არანაკლებ 50% და არაუმეტეს 60%-ისა, ხოლო თუ პირი იმავდროულად არის ან იყო აკადემიური საბჭოს ან წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრი, რექტორი, ვიცე - რექტორი, წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) სპიკერი, რექტორის მოადგილე, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი), სამსახურის უფროსი, სამსახურის უფროსის მოადგილე, დეპარტამენტის უფროსი (დამხმარე სტრუქტურული ერთეული), დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, დეკანი, დეკანის მოადგილე ან აკადემიური დეპარტამენტის უფროსი (კათედრის გამგე), დაკავებული თანამდებობის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, მოწვეული პროფესორი) შესაბამისი სარგოს არაუმეტეს 80%-ისა. ყველა სხვა შემთხვევაში, - ანაზღაურების ოდენობას განსაზღვრავს აკადემიური საბჭო და ამტკიცებს წარმომადგენლობით საბჭო (სენატი).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე